საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: გიორგი ქოიავა

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: ირაკლი შონია

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: დავით კვაჭანტირაძე

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: მ. ფ., თ. ფ., მ. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.05.2012

საჩივრის რეგისტრაციის №055/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2012 წლის 23 მაისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ. ფ., თ. ფ.-მ, მ. ფ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ა. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართეს ადვოკატ ა. კ.-ს. მ. ფ.-სა და ადვოკატს შორის 2010 წლის 16 ივნისს დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და ჰონორარის სახით განისაზღვრა 2000 ლარი. ხელშეკრულების დადებისას კლიენტმა 500 ლარის გადაუხადა ადვოკატს, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილვადებით უნდა გადახდილიყო. რწმუნებულების თანახმად, ადვოკატი ასევე წარმოადგენდა მ. ფ.-ს შვილების ინტერესებს.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2010 წლის დეკემბრამდე ადვოკატს მხოლოდ ტელეფონით უკავშირდებოდნენ და ეკითხებოდნენ საქმის მიმდინარეობის თაობაზე, პასუხად ის ეუბნებოდა, რომ აღარ დაერეკათ და საჭიროების შემთხვევაში თავად დაუკავშირდებოდა.

1.4 საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ 2010 წლის დეკემბერში მიიღეს სარჩელი, რომლის თანახმადაც თ. ფ. ითხოვდა განქორწინებას. მ. ფ. აღნიშნული სარჩელი მიუტანა ადვოკატს, რომელმაც განუმარტა, რომ ყველაფერს თავად მოაგვარებდა. 2010 წლის 14 დეკემბერს მ. ფ.-ს დაურეკა ადვოკატმა ა. კ.-მ თანხის გადახდის მოთხოვნით და აღნიშნა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში პროცესზე არ გამოცხადდებოდა. განმცხადებლის ახსნა-განმარტების თანახმად, მან იმავე საღამოს მიუტანა ადვოკატს 500 ლარი. ა. კ.-მ აუხსნა მას, რომ მისი და მისი შვილების სასამართლო სხდომაზე დასწრება საჭირო არ იყო. სხდომა 29 დეკემბერს საქალაქო სასამართლოში გაიმართა. სხდომაზე მოსამართლემ განმცხადებელს განუმარტა, რომ ადვოკატს არასწორად ჰქონდა მოთხოვნა დაყენებული და, ბინიდან წილის გამოყოფის მოთხოვნით, ფ.-ს წარმომადგენელს შეგებებული სარჩელი არ ჰქონდა წარდგენილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული სხდომის

დასრულების შემდეგ ადვოკატმა ა. კ.-მ აცნობა მათ, რომ სააპელაციო წესით გაასაჩივრებდა გადაწყვეტილებას და სააპელაციო სასამართლოში მაინც მოიგებდა საქმეს.

1.5 მ. ფ.-ს განმარტებით, 10 დღის გასვლის შემდეგ, ადვოკატი კვლავ დაუკავშირდა თანხის გადახდის მოთხოვნით. ამასთან სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად 75 ლარის დამატება მოითხოვა. ფ.-ებმა 27 იანვარს მიუტანა ა. კ.-ს საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის განსაზღვრული თანხის ნაწილი 800 ლარის ოდენობით. ადვოკატმა განუმარტა საჩივრის ავტორებს, რომ სანერვიულო არაფერი იყო და მათ ინტერესებს ბოლომდე დაიცავდა.

1.6 მ. ფ. აღნიშნა, რომ 2011 წლის 04 მარტს დაინიშნა სხდომა სააპელაციო სასამართლოში. სხდომამდე ერთი დღით ადრე, ა. კ.-მ მას სახლში მიუტანა ,,შესაგებლის შესაგებელი“ და განუმარტა, რომ უნდა დაეზეპირებინებინა. ადვოკატმა სხდომაზე დაიგვიანა, თუმცა, მოსამართლემ პროცესზე არ დაუშვა არა დაგვიანების, არამედ სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების არქონის გამო. მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა, დასწრებოდა სხდომას, თუმცა არა - მხარის წარმომადგენლის სტატუსით. მ. ფ. აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მას მიმართა მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, მან ვერ მოახერხა საკუთარი სამართლებრივი ინტერესის დაცვა. მოსამართლემ განუმარტა საჩივრის ავტორებს, რომ მოთხოვნა სწორად არ იყო დაყენებული, ურჩია სხვა ადვოკატის მონახვა და მოთხოვნის სწორად დაყენება ორი კვირის ვადაში.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა უთხრა, რომ მას და მის შვილებს ფული რომ ჰქონოდათ, უზენაეს სასამართლოში დაიცავდა მათ ინტერესებს. ადვოკატის თქმით, ,,იქ სამართალი იყო და ეს საქმე 5000 ლარი ღირდა”. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორებმა საადვოკატო მომსახურებისთვის სხვა ადვოკატს მიმართეს.

1.8 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან საჩივრის ავტორთა გასაუბრება შედგა 2012 წლის 01 ივნისს, რა დროსაც მათ წერილობით უპასუხეს ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს და განმარტეს, რომ ა. კ.-ისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის თხოვნით მიმართვისას, სისხლისამართლებრივი საქმისწარმოების ინტერესი არ ჰქონიათ. მათ მოთხოვნას წარმოადგენდა ბინიდან წილის გამოყოფა. ა. კ.-ს მათთან საუბრისას არასდროს უთქვამს, რომ საადვოკატო საქმიანობის უფლება ჰქონდა მხოლოდ სისხლის სამართლის მიმართულებით.

1.9 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ა. კ.-მ თანხა მიიღო და არ განახორციელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურება, რის შედეგადაც კლიენტებს მიაყენა ფინანსური ზიანი და დააკარგვინა დრო. რაც შეეხება, ხელშეკრულებაში მითითებულ პუნქტს ,,ორჯერადი კვების” შესახებ, საჩივრის

ავტორთა განმარტებით, ეს ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურების თანხაში შედიოდა და ა. კ.-ს კლიენტებისაგან დამატებითი თანხა არ მოუთხოვია

1.10 პირველი დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2012 წლის 10 დეკემბერს, რომელზეც საჩივრის ავტორებმა დააზუსტეს, რომ ადვოკატ ა. კ.-სთან სამივე განმცხადებელს, როგორც კლიენტს ჰქონდა ურთიერთობა, ადვოკატს რწმუნებულებით სამივე განმცხადებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული.

1.11 ეთიკის კომისიის განხილვის სხდომა გაიმართა 2013 წლის 20 თებერვალს, რომელზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორები და მათ ხელახლა დააზუსტეს, რომ ადვოკატ ა. კ.-ს მიმართეს სამოქალაქო სამართალწარმოების განსახორციელებლად, რადგან უკვე იცოდნენ, რომ მათი შემთხვევა სისხლის სამართლის სამართალწარმოებას არ მიეკუთვნებოდა. საჩივრის ავტორებმა ა. კ.-ს დაუტოვეს საქმის მასალები შესასწავლად და სწორედ ამის შემდეგ მიიღო ადვოკატმა საქმის აღების გადაწყვეტილება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ა. კ.-სთან ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2012 წლის 01 ივნისს, რა დროსაც მან წერილობით უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს და განმარტა, რომ 2010 წლის 16 ივნისს მ. ფ.-სთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება მისი მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების თაღლითურად გასხვისების გამო. განმცხადებელს არ ჰქონდა საშუალება ჰონორარი და სახელმწიფო ბაჟი ერთიანად გადაეხადა და შეთანხმდნენ ჰონორარის, 2000 ლარის, ნაწილ-ნაწილ გადახდაზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან შეთანხმებისას სამოქალაქო წესით საქმისწარმოებაზე საუბარი არ ყოფილა. აღნიშნული მოთხოვნა მხარეს მას შემდეგ წარმოეშვა, რაც მისმა მეუღლემ შეიტანა სარჩელი განქორწინების მოთხოვნით. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან ის არ აპირებდა სამოქალაქო საქმის წარმოებას, საჩივრის ავტორს მსგავსი სახის მომსახურებაზე არ დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, შეუდგინა და წარადგინა შესაგებელი. ასევე, შეადგინა სააპელაციო საჩივარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა ქ. თბილისის პროკურატურას, თ. ფ.-ს მიერ მეუღლის კუთვნილი ბინის გასხვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. მას უარი ეთქვა გამოძიების დაწყებაზე და აღნიშნული პასუხი გაასაჩივრა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სწორედ ამ პერიოდში მოხდა სააპელაციო სასამართლოში სამოქალქო საქმის განხილვის სხდომაზე მის დაშვებასთან დაკავშირებული ინციდენტი. მ. ფ. არ იმოქმედა შეთანხმებისამებრ და ადვოკატს უჩივლა

პროკურატურაში, რის გამოც პროკურორის სახელით ადვოკატს დაურეკა უცნობმა ქალბატონმა და მოსთხოვა მ. ფ.-სათვის თანხის დაბრუნება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დამცველთა კავშირის ,,განსჯის" წესდებით, მას 2000 წლიდან ჰქონდა უფლება ყველა ინსტანციის სასამართლო საქმისწარმოებაში მიეღო მონაწილეობა. 2010 წლის 01 ნოემბერს ადვოკატმა კავშირი თავიდან დაარეგისტრირა იუსტიციის სამინისტროში და სააპელაციო სასამართლოში წარსდგა კავშირის მოწმობით. მოსამართლემ ადვოკატს არ მისცა უფლება პროცესზე მონაწილეობა მიეღო.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მ. ფ.-ს უფლებები არც სააპელაციო სასამართლოში შელახულა, რადგან სააპელაციო საჩივარი წარდგენილი ჰქონდათ.

2.7 ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი რწმუნებულება გაფორმებულია ,,პროკურატურასთან თანამშრომლობის გამო, რათა ადვოკატი დაეჭირათ". მისი თქმით, სწორედ ამ მიზნით გამოიყენა რწმუნებულება მ. ფ. და თანხის მოთხოვნის წინადადების მისთვის შეთავაზების ნაცვლად, საჩივრით მიმართა პროკურატურას. ადვოკატისათვის გაუგებარია, რატომ არიან რწმუნებულებაში მითითებული მ. ფ.-ს სრულწლოვანი შვილები, ვინაიდან დავა ეხებოდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფას.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორთან სამოქალაქო საქმის წარმოებაზე რომ არ შეთანხმებულან, დასტურდება მ. ფ.-ს აღიარებითაც იმის შესახებ, რომ მან დაწერილი მიუტანა სააპელაციო სასამართლოში წარსადგენი პოზიცია, რომელიც საჩივრის ავტორს უნდა დაეზეპირებინა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. ფ.-ს მისი მოტყუება, სამოქალაქო (განქორწინების) საქმეში მონაწილეობით იმისათვის დასჭირდა, რომ მისი დაჭერის სანაცვლოდ დიდი პრემიის მიღებასა და ყველა პრობლემის გადაჭრას შეპირდებოდნენ ან არადა ადვოკატს სახელს მაინც გაუტეხდნენ და რეპუტაციას შეულახავდნენ, ვინაიდან განმცხადებლები ,,მამიანად თანამშრომლობენ ორგანოებთან, რაც მემკვიდრეობით მოსდგამთ, როგორც ახასიათებენ ნაცნობები".

2.9 ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორთან ურთიერთობა სისხლის სამართლის საქმეზე მისი დაცვის მიზნით დაიწყო, რაც შეეხება სამოქალაქო საქმეზე მ. ფ.-ს ინტერესების დაცვას, განქორწინების დავაზე მისი ინტერესებიც სრულყოფილად დაიცვა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ დავაში მოატყუეს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 440-ე მუხლი ამ დროისათვის არ უკრძალავდა მ. ფ.-ს ინტერესების დაცვას, ხოლო მისი კავშირის მოქმედი წესდებით კი სასამართლოსგანაც აქვს ეს უფლება მინიჭებული და "თუ მოსამართლემ კანონი არ იცოდა, არ არის მისი ბრალი".

2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიისადმი პატივისცემის მიუხედავად, მონაწილეობას ვერ მიიღებს განხილვის სხდომაში და ეთიკის კომისიას მოუწოდებს

მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტისაკენ, რომ ეთიკის კომისიაც არ აღმოჩნდეს ,,დამსმენის, პროვოკატორის და ინტრიგანის მსხვერპლი.“

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2012 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მ არ აცნობა კლიენტს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე იყო სპეციალიზირებული და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარე ადვოკატის გარეშე დარჩა, ასევე, ადვოკატი არ აწოდებდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და სამოქალაქო საქმეზე არ წარადგინა შეგებებული სარჩელი, მაშინ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ სავარაუდოდ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2012 წლის 13 სექტემბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა პირველ დისციპლინურ კოლეგიას. პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2012 წლის 10 დეკემბერს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 36-ე მუხლით, 2013 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორებისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ა. კ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სია, ადვოკატი ა. კ., სიითი №

5.1.2 ადვოკატი ა. კ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თინათინ ეცადაშვილმა სააპელაციო სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან ა. კ. არ იყო სპეციალიზირებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. ფ.-ს 2012 წლის 23 მაისის საჩივარი (ს.ფ. 4, აბზაცი 1)
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 04 მარტის სხდომის ოქმი (ს. ფ. 24, აბზაცი 3)
3. ა. კ.-ის 2012 წლის 01 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 39, აბზაცი 1)

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 ადვოკატ ა. კ.-ის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მ. ფ.-ს ინტერესების წარმოდგენა.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ ა. კ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ ა. კ.-სთან შეთანხმებულნი იყვნენ, რომ ის მ. ფ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. მათ თავიდანვე სამოქალაქო საქმეზე მიმართეს, რადგან წინა ადვოკატთან, ე. ს.-სთან ურთიერთობის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მათი საქმე არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

ბ) ადვოკატის 2012 წლის 06 ივნისის ახსნა-განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევას. ამის საჭიროება მხოლოდ თ. ფ.-ს მიერ განქორწინებაზე სარჩელის შეტანის შემდეგ წარმოიშვა. ა. კ.-ის თქმით, ის არ აპირებდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებას, ამიტომ თავად კი არ წარადგინა მათი ინტერესები სასამართლოში, შეუდგინა დასაბუთება, რათა ფ.-ები სააპელაციო სასამართლოში არ დაეტოვებინა დაცვის გარეშე. 2012 წლის 10 დეკემბრის განცხადებაში ა. კ. აღნიშნავს, რომ მას, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დამცველთა კავშირი „განსჯას“ წევრს, ჰქონდა უფლება

მონაწილეობა მიეღო სასამართლო განხილვაში სამივე ინსტანციაში ნებისმიერი სპეციალიზაციით.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. კ.-ის 2012 წლის 06 ივნისის ახსნა-განმარტებასა და ადვოკატ ა. კ.-სა და მ. ფ.-ს შორის 2009 წლის 16 ივნისს დადებულ ხელშეკრულებაში - „დაცვა შეთანხმებით“, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებია დაფიქსირებული. კერძოდ, ხელშეკრულებაში ცალსახადაა მითითებული, რომ ადვოკატ ა. კ.-ს უნდა წარმოედგინა მ. ფ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და პირობებით, ხოლო ახსნა-განმარტების თანახმად, ა. კ. არ აპირებდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებას.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ გულისხმობს მხოლოდ კლიენტის ინტერესების წარმოდგენას სასამართლო პროცესზე, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი წინადადების მიხედვით ,,საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი).“ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. კ.-მ არა მხოლოდ სამართლებრივი რჩევა მისცა მ. ფ.-ს, არამედ მოუმზადა შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე, რასაც თავადვე მოაწერა ხელი, ამასთან, შესაგებელში სხვა სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად, მიუთითა ადვოკატის ერთიან რეესტრში მინიჭებული სიითი ნომერი - №. ადვოკატმა კლიენტს ასევე შეუდგინა სააპელაციო საჩივარი, რომელსაც ამ შემთხვევაშიც თავად მოაწერა ხელი და აწარმოებდა კორესპონდენციას სააპელაციო სასამართლოსთან, როგორც მ. ფ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი.

ეთიკის კომისიას დადგენილად მიაჩნია, რომ ა. კ.-მ მ. ფ.-ს ინტერესები წარმოადგინა სამოქალაქო სამართლის საქმეზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. ფ.-ს 2012 წლის 23 მაისის საჩივარი (ს.ფ. 1, მე-2 აბზაცი; ს.ფ. 2, 1-ლი აბზაცი)
2. ადვოკატის 2012 წლის 01 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 2, მე-2 აბზაცი)საჩივრის ავტორთა ახსნა-განმარტება (2012 წლის 10 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი, გვ. 4, აბზაცები 2,4,6)
3. „დაცვა შეთანხმებით“ (ს.ფ. 40, 1-ლი აბზაცი)
4. ა. კ.-ის 2010 წლის 13 დეკემბრის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს, (ს.ფ. 68)
5. 2010 წლის 10 დეკემბრის შესაგებელი №X/XXX-XX-XX სამოქალაქო საქმეზე, (ს.ფ.80-96)

6. აქტები ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ სამოქალაქო საქმეზე 2ბ/38-10 (ს.ფ. 63, 65)
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 04 მარტის სხდომის ოქმი (ს. ფ. 24, აბზაცი 3)
8. ა. კ.-ის 2011 წლის 21 მარტის შესაგებლის შესაგებელი, (ს.ფ. 66-67)

5.2.2 ადვოკატ ა. კ.-ის მიერ მ. ფ.-სათვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ იგი სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი იყო.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ა. კ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატს არ შეუტყობინებია მათთვის, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით იყო სპეციალიზირებული. მათ ისიც კი არ იცოდნენ, ადვოკატის სპეციალიზაცია თუ განსაზღვრავდა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

ბ) ადვოკატის განმარტებით, მას, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დამცველთა კავშირის „განსჯა“ წევრს, ჰქონდა უფლებამოსილება მიეღო მონაწილეობა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში სამივე ინსტანციაში.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კომისიისათვის რწმენის ჩამოსაყალიბებლად იმის შესახებ, რომ ადვოკატმა ა. კ.-მ მ. ფ.-ს არ განუმარტა, რომ იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი და ამ საფუძვლით არ შეეძლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობა, არსებობს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ადვოკატ ა. კ.-ის მიერ 2011 წლის 04 მარტს სხდომისათვის მოსამზადებლად მ. ფ.-სათვის 2011 წლის 21 მარტის ე.წ. შესაგებლის შესაგებლის გადაცემა ზეპირად დასასწავლად; 2011 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე ადვოკატის გამოცხადება საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, რასაც მოჰყვა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განმარტება იმის შესახებ, რომ ადვოკატი ა. კ. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნებოდა დაშვებული, როგორც მ. ფ.-ს ადვოკატი, რადგან ეს უკანასკნელი არ ირიცხებოდა ადვოკატთა ერთიან რეესტრში, როგორც საერთო ან სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, ხოლო სისხლის სამართლის მიმართულებით სპეციალიზაცია არ იყო შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (განხილვის კოლეგიის 2012 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი, ს.ფ. 59, მე-6 აბზაცი; ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის სხდომის ოქმი, ს.ფ.132 აბზაცი 2-3)
2. ადვოკატის 2012 წლის 01 ივნისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38, აბზაცი 3; ს.ფ. 39)
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 04 მარტის სხდომის ოქმი (ს. ფ. 24, აბზაცი 3)
4. ა. კ.-ის 2011 წლის 21 მარტის შესაგებლის შესაგებელი, (ს.ფ. 66-67)

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა საჩივრის ავტორთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. კ.-მ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ა. კ.-მ დაარღვია შემდეგი ნორმა:

7.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

7.2 ეთიკის კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2012 წლის 22 ივნისის დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებაში ადვოკატის ქმედების სამართლებრივ შეფასებას არაკვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზირებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას.

7.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს №030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს ადვოკატს კონკრეტულ დარგში, წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები შესაბამისი მიმართულებით, ამდენად, რისკი იმისა, რომ

ადვოკატი არაკვალიფიციურად დაიცავს კლიენტის უფლებებს და ზიანს მიაყენებს კლიენტის ინტერესებს, ნაკლებია.“

7.4 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.“ ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმადაც, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რაც აღირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

7.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები, მიზნად ისახავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, წარმოადგენს ერთ-ერთ მაკონტროლებელ ინსტრუმენტს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პოტენციური კლიენტის ინტერესები დაცული იქნება კვალიფიციურად სამივე ინსტანციის სასამართლოში.

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ ეკისრება ვალდებულება, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით. ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილს, მოეთხოვება, საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას გამოიჩინოს გულისხმიერება საკუთარი საქმისადმი, რათა არა მხოლოდ კლიენტის კონკრეტული

ინტერესის დაზიანება აიცილოს თავიდან, არამედ - საზოგადოების ნდობის დაკარგვაც ადვოკატთა კორპუსის მიმართ.

7.7 ადვოკატი ა. კ., სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი მ. ფ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას მინდობილობისა და ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. რწმუნებულება, ს.ფ. 11, ხელშეკრულება, ს.ფ 40). ადვოკატი როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, კერძოდ მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებიდან, საქმეს აწარმოებდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც ადვოკატი. შესაგებელში შევსებულია ადვოკატისათვის დათმობილი ველი, კერძოდ მითითებულია ადვოკატის სიითი ნომერი, ხოლო სააპელაციო საჩივარში სიითი ნომრის ნაცვლად მითითებულია დ/კ ,,განსჯა". ორივე საპროცესო დოკუმენტს ხელს მხოლოდ ა. კ. აწერს.

7.8 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სსსკ-ის 440 მუხლი იმ დროისათვის არ უკრძალავდა მ. ფ.-ს ინტერესების დაცვას. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვას სამოქალაქო პროცესში და ადგენს ,,პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. (24.09.2009. N1701)" შესაბამისად, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე პირი ვერ განახორციელებს წარმომადგენლობას სააპელაციო სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატი ა. კ. გულგრილად მოეკიდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, იხელმძღვანელა რა, მხოლოდ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დამცველთა კავშირის „განსჯას" წესდებით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ წესდება არის კონკრეტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი დებულებათა კრებული, რომელიც ადგენს ამ იურიდიული პირის სტრუქტურასა და მოქმედების წესს. აღნიშნულ იურიდიულ პირთან ხელშეკრულების დადებისას, წესდება ითვლება ხელშეკრულების ნაწილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად კი „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს". შესაბამისად, კავშირის „განსჯა" წესდებასა და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტს შორის კოლიზიის წარმოშობისას, უპირატესი ძალა ენიჭება კანონს, წესდების შესაბამისი მუხლი, რომელიც ადვოკატს უფლებას ანიჭებს სპეციალიზაციის მიუხედავად მონაწილოება მიიღოს ყველა ინსტანციის სასამართლოში ჩაითვლება ბათილად, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს.

7.9 ეთიკის კომისიას მიაჩნია, ცალკე შეფასების საგანს წარმოადგენს ა. კ.-ის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა სამართლის იმ დარგის მიხედვით, რომელშიც არ ყოფილა ის სპეციალიზირებული. სპეციალიზაციის მიხედვით შეზღუდვის დაწესება ემსახურება კლიენტის ინტერესების დაცვით კლიენტის ნდობის წარმოშობას არა მხოლოდ იმ კონკრეტული ადვოკატის მიმართ, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება, არამდე მთლიანად ადვოკატთა კორპუსის მიმართ, რადგან ხსენებული შეზღუდვა გამორიცხავს ადვოკატის საქმიანობისთვის განუსაზღვრელი ფარგლების მინიჭებას და უზრუნველყოფს ადვოკატის მიერ კვალიფიციური და ხარისხიანი მოქმედებების განხორციელებას.

7.10 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება, იმოქმედოს კლიენტის სახელითა და მისი ინტერესების გათვალისწინებით რწმუნებულებით განსაზღვრულ ფარგლებში. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა საქმის წარმოებისას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა.

7.11 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის /დისციპლინური საქმე №066/10/ გადაწყვეტილებაში განმარტებულია ადვოკატის მიერ კვალიფიციური მომსახურების გაწევისთვის დადგენილი კრიტერიუმები, რომელთა თანახმადაც, „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია, გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის, მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.“

7.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *MAĐER v. CROATIA* (განაცხადი №56185/07, 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება), სადაც ადვოკატი, კლიენტის განცხადებით ქმედითი დაცვის განსახორციელებლად სათანადოდ არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელა ადვოკატის მიერ ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე, რაც დაცვის უფლების დარღვევად შეაფასა.

7.13 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა სამართლის იმ მიმართულებით საქმიანობისას, რომელშიც არ ჰქონდა ლიცენზია მინიჭებული გამოიხატა ასევე კლიენტის, მ. ფ.-ს, სამართლებრივი ინტერესების არაკვალიფიციურად

დაცვაში. კერძოდ, სასამართლოში იხილებოდა მ. ფ.-ს მეუღლის სარჩელი განქორწინების მოთხოვნით. მ. ფ. განქორწინებაზე თანახმა იყო, მაგრამ მის ინტერესს წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა. საქმის საქალაქო სასამართლოში წარმოებისას ადვოკატმა ა. კ.-მ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით არ დააყენა მოთხოვნა, ვინაიდან შესაგებლის ფორმაში ჩაწერა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რის გამოც სასამართლომ შეფასება არ მისცა ამ მოთხოვნას, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემდეგ კლიენტი დარჩა დაუცველი, ვინაიდან ადვოკატი დაგვიანებით გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არ დაუშვეს სამოქალაქო მიმართულებით სპეციალიზაციის არ ქონის გამო.

7.14 ა. კ.-მ სამართლის იმ სფეროში საადვოკატო მომსახურების განხორციელებით, რომელშიც არ ფლობდა შესაბამის კვალიფიკაციას, დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, რითიც ზიანი მიაყენა კლიენტის სამართლებრივ ინტერესს.

7.15 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შეგებებული სარჩელის წარუდგენლობის გამო, სასამართლომ ვერ იმსჯელა სადაო სამართლებრივ საკითხზე, რის მიმართაც კლიენტს გააჩნდა იურიდიული ინტერესი და რის გამოც მიმართა ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისთვის. ადვოკატმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი და კლიენტს კვლავ შეუქმნა მოლოდინი, რომ სააპელაციო სასამართლო განიხილავდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის საკითხსაც. ასევე, ადვოკატმა არ აცნობა კლიენტს იმის თაობაზე, რომ მას კვალიფიკაცია სისხლის სამართლის მიმართულებით ჰქონდა მინიჭებული და ვერ შეძლებდა მისი ინტერესების წარმოდგენას სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც კლიენტი სასამართლო სხდომაზე დარჩა საადვოკატო მომსახურების გარეშე და ვერც თავად შეძლო თავისი უფლებების დაცვა. ერთის მხრივ, ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტის საქმისწარმოება გაჭიანურდა, ვინაიდან 2009 წლის 16 ივნისიდან 2011 წლის 21 მარტის ჩათვლით განხორციელებული საადვოკატო საქმიანობის შედეგად კლიენტისათვის შეუძლებელი გახდა მოთხოვნის დაყენება სასამართლოში, ხოლო მეორეს მხრივ, მას მიადგა მატერიალური ზიანი, ვინაიდან მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ასევე ა. კ.-ს გადასცა სასამართლო ხარჯებისათვის გარკვეული თანხა, ხოლო გაწეულ მატერიალურ ხარჯს დაემატა ახალი ადვოკატისა და საქმის თავიდან წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯები. ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტმა შეწყვიტა მასთან ურთიერთობა, დაკარგა რა ადვოკატის მიმართ ნდობა. აღნიშნული ქმედება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, საფრთხეს

უქმნის საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის მიმართ, ეთიკის კომისიის 2007 წლის 19 ნოემბრის 3091/11/07 გადაწყვეტილებით „რწმუნებაზე ხელმოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ“, კომისიამ სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს, ასევე ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა ადვოკატის პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობისა და ზოგადად ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით განმსჭვალავს საზოგადოებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ამავე კანონის მე-10 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით, მე-11 მუხლის მე-8 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19, მე-20, მე–40 მუხლის მე–2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. კ.-ს /სიითი№/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ ა. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/

კომისიისწევრი: /გიორგი ქოიავა/

კომისიის წევრი:	/დავით კაკაბაძე/
კომისიის წევრი:	/ირაკლი შონია/
კომისიის წევრი:	/ირაკლი კორძახია/
კომისიის წევრი:	/გიორგი ბეგიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ემზარ პაქსაძე/
კომისიის წევრი:	/ლავრენტი ქავთარაძე/
კომისიის წევრი:	/კობა ბოჭორიშვილი/
კომისიის წევრი:	/დავით კვაჭანტირაძე/
კომისიის წევრი:	/ზურაბ ძლიერიშვილი/